



მერაბ ალექსიძის 8, თბილისი 0160, საქართველო
 8 Merab Aleksidze Street, Tbilisi 0160, Georgia
 T (+995 32) 220 65 20 F (+995 32) 220 65 19
 info@gau.ge www.gau.ge

დებულება დამტკიცებულია ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალურ მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს მიერ 2013 წლის 24 დეკემბრის #5 გადაწყვეტილებით

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის “იურიდიული კლინიკის” დებულება

1. ზოგადი ნაწილი

1.1. კლინიკა, როგორც სამართლის წავლების მეთოდი, არის სამართლის, სოციალურ მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის (შემდგომაში “სკოლა”) შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

1.2. იურიდიული კლინიკა ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

1.3. პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ადვოკატირების უნარ-ჩვევები საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების უსასყიდლო კონსულტაციების გზით, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების შესაბამის სასწავლო და საგანმანათლებლო სტანდარტები.

1.4. იურიდიული კლინიკის სასწავლო პროგრამა წარმოადგენს სკოლის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებულ სავალდებულო სწავლების კურსს და მინიჭებული აქვს მაღალი საკრედიტო ქულები.

1.5. იურიდიული კლინიკის პროგრამაში მიიღებიან უნივერსიტეტის სკოლის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსისა და სამაგისტრო კურსების სტუდენტები.

1.6. იურიდიული კლინიკის პროგრამის საქმიანობა ეფუძნება

- სამართლიანობის პრინციპს;
- ურთიერთდახმარების პრინციპს;
- მიუკერძოებლობის პრინციპს;
- კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს;
- კანონის უზენაესობის პრინციპს.

1.7. იურიდიული კლინიკის პროგრამა თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- საჯარო სამართლის მიმართულება;
- კერძო სამართლის მიმართულება;
- სისხლის სამართლის მიმართულება.
-

1.8. იურიდიულ კლინიკაში სასწავლო პროცედურის მართვა ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, იურიდიული კლინიკის დებულების და ეთიკისა კოდექსის (დანართი #1). შესაბამისად, იურიდიული კლინიკა ეფუძნება ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

2. იურიდიული კლინიკის ამოცანები და ფუნქციები

2.1. იურიდიული კლინიკის ამოცანაა სტუდენტებს შეასწავლოს ადვოკატირების უნარ-ჩვევები და გამოუმუშავოს იურიდიული აზროვნების უნარი სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციების გაცემის გზით; სტუდენტს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებით ჩამოუყალიბოს სოციალური პასუხისმგებლობა.

2.2. იურიდიული კლინიკის პროგრამის მიზანია იურიდიულ სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება; სამართლის სწავლების სფეროში უზრუნველყოფს ანალიზის, კვლევის და ინტელექტუალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის გზით.

2.3. უზრუნველყოფს პრაქტიკული და ადვოკატის უნარ-ჩვევების შესწავლასა და გამოყენებას, იურიდიული აზროვნების გამომუშავებას. სოციალურად დაუცველი ფენების უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევის გზით.

2.4. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტს გაუღვივოს სოციალურად დაუცველი ფენებისადმი პასუხისმგებლობისა და თანადგომის გრძნობა.

2.5. სტუდენტი იურიდიული კლინიკის ფარგლებში შეისწავლის იურიდიულ კლინიკის პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკულ კურსებს, რომელიც უყალიბებს მას პროფესიულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

2.6. იურიდიული კლინიკის პროგრამა ორიენტირებულია კონკრეტული საქმეების განხილვაზე. თეორიული მომზადების შემდეგ სტუდენტები დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის ვალდებულნი არიან მოემსახურონ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, გაუწიონ უსასყიდლო კონსულტაცია და იურიდიული დახმარება კვალიფიცირებული ადვოკატებისა და პედაგოგების დახმარებით.

2.7. იურიდიული კლინიკის პროგრამა მომსახურებას უწევს მოსახლეობას, მათ შორის არასრულწლოვნებს, უცხოელ სტუდენტებს, მიგრანტებს, ლტოლვილებს, დევნილებს, პაციენტებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებს და სხვა ჯგუფებს.

2.8. ამყარებს საქმიან კონტაქტებს სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სამთავრობო სტრუქტურებთან;

2.9. იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის დროს სრულად არის დაცული კონფიდენციალიური ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და პირობების მონაცემების შესახებ. კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია, როგორც სტუდენტების, ასევე პედაგოგებისა და ადვოკატების მხრიდან.

2.10. იურიდიულ კლინიკის პროგრამაში საქმის წარმოება მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული ფორმების მეშვეობით (იხ.დანართი №2).

2.11. სტუდენტებს ეკრძალებათ ხელმძღვანელების გარეშე გასცენ იურიდიული კონსულტაციები.

3. იურიდიული კლინიკის ორგანიზაცია და სტრუქტურა

3.1. იურიდიული კლინიკა წარმოადგენს სკოლის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებულ სავალდებულო კურსს.

3.2. იურიდიულ კლინიკას ხელმძღვანელობს კლინიკური პროგრამის დირექტორი, რომელსაც სკოლის დეკანის წარდგინებით აკადემიურ პერსონალიდან (სრული ან ასოცირებული პროფესორი) ნიშნავს პრეზიდენტი.

4. იურიდიული კლინიკის დირექტორის ფუნქციები:

4.1. ხელმძღვანელობს და წარმართავს იურიდიული კლინიკის საქმიანობას;

4.2. პასუხისმგებელია იურიდიულ კლინიკაზე დაკისრებული უფლება- მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

4.3. ხელმძღვანელობს იურიდიული კლინიკის სწავლების პროგრამის შედგენას;

4.4. სკოლის დეკანს წარუდგენს იურიდიულ კლინიკის პროგრამაში მოსაწვევ ლექტორებისა და ადვოკატების ნუსხას;

4.5. სამართლის სკოლის დეკანთან შეთანხმებით ადგენს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებს;

4.6. უზრუნველყოფს იურიდიული კლინიკის პროგრამის გამართულ მუშაობას;

4.7. სტუდენტებს შორის ანაწილებს შემოსულ საქმეებს; სტუდენტებს აძლევს მითითებებსა და დავალებებს;

4.8. 4.10. ზედამხედველობას უწევს იურიდიული კლინიკის პროგრამის სტუდენტების მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;

4.9. კონტროლს უწევს კლინიკის შიდა განაწესისა და ეთიკური ნორმების დაცვას;

4.10. აწარმოებს მოლაპარაკებებს და ამზადებს დოკუმენტებს სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის მიზნით და წარუდგენს სკოლის დეკანს;

4.11. აკონტროლებს სტუდენტების კონსულტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. საჭიროების შემთხვევაში თავისი კომპეტეციის ფარგლებში ახორციელებს სკოლის დეკანის მიერ დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

5. სტუდენტის უფლება-მოვალეობანი.

5.1. სტუდენტს უფლება აქვს:

5.2. სტუდენტს უფლება აქვს იურიდიული კლინიკის ფარგლებში მიიღოს ხარისხიანი პრაქტიკული იურიდიული განათლება;

5.3. იურიდიული კლინიკის პროგრამის დებულებისა და წესებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს კლინიკის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

- 5.4. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი იურიდიულ კლინიკაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- 5.5. მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებაში;
- 5.6. თავისუფლად განახორციელოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

6. სტუდენტი ვალდებულია:

- 6.1. დააკმაყოფილოს იურიდიული კლინიკის პროგრამის მიერ დადგენილი სასწავლო მინიმუმის მოთხოვნები;
- 6.2. დაიცვას საქმის წარმოებასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 6.3. დაიცვას იურიდიული კლინიკის ეთიკის კოდექსი და წინამდებარე დებულება;
- 6.4. გაუფრთხილდეს იურიდიული კლინიკის ქონებას;
- 6.5. იზრუნოს კლინიკის პრესტიჟისათვის;
- 6.6. სწავლის პროცესში დააგროვოს კრედიტების საჭირო რაოდენობა;
- 6.7. შეისწავლოს იურიდიული კლინიკის პროგრამის ყველა კურსი.

7. იურიდიული კლინიკის რეკვიზიტები

- 7.1. იურიდიულ კლინიკას გააჩნია თავისი ლოგო და დევიზი::



“გაუფე კარი სამართლიანობას”

- 7.2. იურიდიული კლინიკის მისამართია: 0161 ქ. თბილისი, მ.ალექსიძის № 8;
ტელეფონი: (+995 32) 20 65 20;
შიდა ნომერი (108)
ფაქსი: (+995 32) 20 65 44;
ელ-ფოსტა: gauklinik@yahoo.com

